

ტერორისტული აქტი; სამშობლოს ღალატი; განჩინების გაუქმება

საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ 66-კოლ

13 ნოემბერი, 2001 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მ. ტურავას თავმჯდომარეობით

პალატის წევრების:

ვ. ხრუსტალის,  
ბ. მეტრეველის,  
მ. გოგიშვილის,  
მ. ისაევის (მომხსენებელი),  
ბ. კობერიძის,  
რ. ნადირიანის,  
მ. ცისკაძის,  
ბ. ხიმშიაშვილის შემადგენლობით

სხდომის მდივანი – მ. ხოსროშვილი

სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროკურორი გ. ტ.-ი.

ადვოკატები: ი.ბ.-ლი, მ. ჯ.-ლი, ლ. ტ.-ლი, მ. ს.-ვა.

მსჯავრდებულები: გ. ა.-ძე, ტ. ბ.-ია, ზ. მ.-ლი.

განიხილა მსჯავრდებულ გ.ა.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების ი. ბ.-ისა და მ. ჯ.-ის საკასაციო საჩივარი, მსჯავრდებულების ზ. მ.-ისა და ტ. ბ.-ას საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 17 აგვისტოს განაჩენზე. ასევე, მსჯავრდებულ გ. ა.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების ი.ბ.-ისა და მ. ჯ.-ის კერძო საკასაციო საჩივარი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ გ.ა.-ის და სხვათა ბრალდების საქმეზე გამოტანილი 20 განჩინების უკანონო საპროცესო აქტებად ცნობისა და გაუქმების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 17 აგვისტოს განაჩენით გ. ა.-ეს დაბადებულს „...“ წელს „.....“-

ისრაიონის სოფელ „.....“-ში, ცოლშვილიანს, „.....“ განათლების მქონეს, დროებით უმუშევარს, წარსულში ნასამართლობის არმქონეს, ამჟამად პატიმარს მსჯავრი დაედო და მიესაჯა: - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2000 წლის 1 ივნისის რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით; 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 307-ე, 315-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2000 წლის 1 ივნისის რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით; 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2000 წლის 1 ივნისის რედაქცია)- თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით; მე-17, 67-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით; მე-17, 104-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია)- თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით;

214-ე მუხლით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და სასჯელთა ერთობლიობით გ. ა.-ძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 17 (ჩვიდმეტი) წლის ვადით, მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით. სასჯელის მოხდა დაეწყო 1998 წლის 17 მარტიდან.

ზ. მ.-ლს, დაბადებულს „.....“ წელს „.....“-ის რაიონის სოფელ „.....“-ში, ცოლშვილიანს, „.....“ განათლებით, უმუშევარს, წარსულში ნასამართლობის არმქონეს, ამჟამად პატიმარს მსჯავრი დაედო და მიესაჯა:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2000 წლის 1 ივნისის რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2000 წლის 1 ივნისის რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით; მე-17, 67-ე მუხლის

მე-4 ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით; მე-17, 104-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

საქართველოს სსკ მე-40 მუხლის (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და სასჯელთა ერთობლიობით ზ. მ.-ლს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 12 (თორმეტი) წლის ვადით, მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით. სასჯელის მოხდა დაეწყო 1998 წლის 13 თებერვლიდან.

ტ. ბ.-ას, დაბადებულს „.....“ წელს ქ. „.....“-ში, ცოლშვილიანს, უმუშევარს, „.....“-სპეციალური განათლებით, წარსულში ნასამართლობის არმქონეს, ამჟამად პატიმარს მსჯავრი დაედო და მიესაჯა:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2000 წლის 1 ივნისის რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით; 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2000 წლის 1 ივნისის რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით; მე-17, 67-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით; მე-17, 104-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

საქართველოს სსკ მე-40 მუხლის (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და სასჯელთა ერთობლიობით ტ. ბ.-ას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლის ვადით, მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით. სასჯელის მოხდა დაეწყო 1998 წლის 26 მარტიდან.

ამავე საქმეზე მსჯავრდებული არიან, აგრეთვე, ზ. ე.-ია, ბ. თ.-უა, გ. ქ.-ია, ზ. გ.-უა, პ. ზ.-ა, რ. კ.-ვა, ზ. თ.-ია, გ. კ.-ია, ზ. ზ.-ია და ნ. ჩ.-უა. მათ მიმართ განაჩენი საკასაციო წესით არ ყოფილა გასაჩივრებული.

## ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

განაჩენით გ. ა.-ეს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მან, საქართველოს მოქალაქემ, 1993 წელს ჩაიდინა სახელმწიფოს ღალატი – მონაწილეობა მიიღო შეთქმულებასა და ამბოხებაში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დასამხობად და ხელში ჩასაგდებად, რამაც გამოიწვია ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა და სხვა მძიმე შედეგი.

მანვე ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი, ანუ სახელმწიფოს კუთვნილი მოძრავი ნივთის – დიდი ოდენობით აშშ დოლარების აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

მანვე, 1997-98 წლებში ჩაიდინა სახელმწიფოს ღალატი – შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დასამხობად და ხელში ჩასაგდებად, რომლის განსახორციელებლად ორგანიზება გაუწია პირთა ჯგუფს და 1998 წლის 9 თებერვალს ჩაიდინა ტერორისტული აქტის მცდელობა – ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს პრეზიდენტის ე. შ.-ის მკვლელობის მცდელობა მის სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების მიზნით. დანაშაული ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი გ.ა.-ის და მისი თანამზრახველების ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

მანვე, ამ ტერორისტული აქტის მცდელობის დროს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებში, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, დაზარალებულთა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ისეთი საშუალებებით, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენდა მრავალ პირთა სიცოცხლისათვის, განზრახ ჩაიდინა რამდენიმე პირის – საქართველოს პრეზიდენტის დაცვის თანამშრომელთა მკვლელობის მცდელობა.

მანვე, ამ ტერორისტული აქტის მცდელობის დროს, აფეთქებებითა და სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებებით ჩაიდინა სხვისი ნივთის (სახელმწიფო ქონების) დაზიანება და განადგურება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი.

მანვე, წინასწარი შეცნობით შეიძინა და გამოიყენა ყალბი დოკუმენტები.

1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციურ ძალებს შორის კონფლიქტის გამწვავების და შეიარაღებული შეტაკებისას, 1992 წლის 6 იანვარს, დილით, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები გაიქცნენ ქვეყნიდან და დაბანაკდნენ „...“-ის რესპუბლიკის დედაქალაქ გ,.....“-ში.

საქართველოში შეიქმნა ხელისუფლების ვაკუუმი. ამის გამო ქვეყანას მართავდა სამხედრო საბჭო, ხოლო შემდეგ – სახელმწიფო საბჭო.

1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ, დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების გზით, აირჩია საქართველოს პარლამენტი და შეიქმნა ლეგიტიმური ხელისუფლება.

ქ. „...“-ში დაბანაკებულმა, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 1992 წლის ბოლოს მოაწყვეს შეთქმულება და ამბოხება საქართველოს სახელმწიფოს ლეგიტიმური ხელისუფლების ძალადობით დასამხობად და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი გ. ა.-ძე 1993 წლის ივნისში შეუერთდა შეთქმულებსა და ამბოხებულებს და იმავე წლის 24 სექტემბერს ჩავიდა ქ. „...“-ში, სადაც დაიწყო ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე მოვალეობის უკანონოდ შესრულება.

ამასთან ერთად, გ.ა.-ძე და მისი თანამონაწილენი ითვალისწინებდნენ, რომ მათ საზოგადოებრივად საშიშ ქმედებებს შედეგად მოყვებოდა საკუთარი ქვეყნის ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დანგრევა- დაზიანება, ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა, ჯანმრთელობის ხელყოფა, მათი პირადი ქონების და სხვა მატერიალურ ფასეულობათა განადგურება და შეგნებულად უშვებდნენ ამ მძიმე შედეგების დადგომას.

თანამზრახველებმა, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დასამხობად და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, გ. ა.-თან შეთანხმებით, 1993 წლის 28 აგვისტოდან 6 ნოემბრამდე, სხვების ხელმძღვანელობით, შეიარაღებული თავდასხმები განახორციელეს „...“-ის, „...“-ის, ა,„...“-ის, „...“-ის, „...“-ის, „...“-ის რაიონებზე, ქ. „...“-ზე, ქ. „...“-ზე, მათ მიმდებარე ტერიტორიებსა და „...“-ოს ზონაზე, რამაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოიწვია, კერძოდ: ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა, სხეულის დაზიანება, მმართველობის ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების ძალადობით დაშლა, თანამდებობის პირთა დევნა, ტერორი, წარმოება-დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშვიდობიანი მოსახლეობის კუთვნილი შენობების დარბევა, ძარცვა, განადგურება, სარკინიგზო მაგისტრალის და კავშირგაბმულობის კომუნიკაციების დაზიანება, მოსახლეობის დარბევა-დაწიოკება, სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კერძო ფირმების, მოქალაქეთა პირადი ქონების დიდი ოდენობით გატაცება და სხვა.

1993 წლის 2 ოქტომბერს ქ. „...“-ზე თავდასხმისა და დაკავების შემდეგ, გ. ა.-ძე აშკარად დაეუფლა დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონებას: 1993 წლის 4 ოქტომბერს, ბ. გ.-ის უკანონო განკარგულებით, გ. ა.-ემ შემნახველი ბანკის № 34867 განყოფილებიდან ეროვნული ბანკის „...“-ის რეგიონულ ცენტრში უკანონო ინკასირება გაუკეთა 35. 117 აშშ დოლარს, ხოლო სახელმწიფო კომერციული „...“-ის განყოფილებიდან „...“-ის რეგიონულ ცენტრში – 92. 713 ამერიკულ დოლარს, ე.ი. სულ ინკასირება გაუკეთა 127. 830 ამერიკულ დოლარს.

1993 წლის 26 ოქტომბერს მან ბ. გ.-თან ერთად უკანონოდ ჩარიცხა დასახელებული თანხა სახელმწიფო კომერციული „...“-ის განყოფილებაში.

იმავე დღეს გ. ა.-ძე ხსენებულ ბანკში გამოცხადდა ე.წ. „კანონიერი ხელისუფლების“ სახელით, სადაც კატეგორიულად მოითხოვა და ბანკის მმართველი მ. კ.-ია აიძულა, გადაეცა მისთვის დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება – 127.830 აშშ დოლარი, რასაც აშკარად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა.

ამბოხების დამარცხების შემდეგ, 1993 წლის 6 ნოემბერს, გ. ა.-ემ დატოვა ქ. „...“ი, გაიქცა „...“ის ფელერაციაში და მიიმალა.

მიმალვისას გ.ა.-ემ, გამოყენების მიზნით, შეიძინა ყოფილი სსრკ-ას სახელმწიფო პასპორტში ჩასაკრავი ყალბი ჩართული ფურცელი (ჩანართი №„...“; ი. კ.-ის სახელზე 1996 წლის 7 მაისს გაცემული საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტი (ტიპი 3, ქვეყნის კოდი გეო №„...“); ასევე, ი. კ.-ის სახელზე გაცემული ყალბი მართვის მოწმობა (სერია მპ №„...“) და იყენებდა მათ.

მიმალვისას გ. ა.-ემ, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად, გააგრძელა დანაშაულებრივი საქმიანობა. ამ მიზნით 1997-98 წლებში მოაწყო შეთქმულება და განიზრახა ხელისუფლების წარმომადგენლის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს პრეზიდენტის ე. შ.-ის მკვლელობა. ამისათვის 1997 წლის გაზაფხულზე დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის თანამოაზრეს, ვ. ქ.-ას, უკანონო შეიარაღებული ფორმირების მე-16 ბატალიონის მეთაურის მოადგილეს, აწ გარდაცვლილ გ. ე.-ას, ამ უკანასკნელის მეშვეობით კი - ზ. ე.-ას, ბ. თ.-ას, ნ. ჩ.-ას, გ. ქ.-ას, ზ. მ.-ლს, ტ. ბ.-ას და სხვებს. შემუშავებული გეგმის მიხედვით, შეთქმულების საერთო ხელმძღვანელობა და დაფინანსება ევალებოდა გ.ა.-ეს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ იგი უნდა მოსულიყო საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში. გ. ე.-ას დაევალა ზემოხსენებული პირების დაყოლიება დანაშაულის ჩადენაში, მათი სპეციალური სამხედრო მომზადების ორგანიზაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ, საბრძოლო იარაღების, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებების შეძენა, ჯგუფის წევრებისათვის ქ. „...“ში, კონსპირაციული ბინების დაქირავება, პრეზიდენტზე თავდასხმისათვის ადგილისა და დროის შერჩევა, აგრეთვე ამ თავდასხმის უშუალო ხელმძღვანელობა, რაც მან განახორციელა.

1997 წლის 12 ივლისს შეთქმულთა ჯგუფის 12 წევრი, მათ შორის ზ. ე.-ია, ბ. თ.-ია, ნ. ჩ.-უა, გ. ქ.-ია და სხვები გ. ე.-ას ხელმძღვანელობით ჩავიდნენ „...“ის ფელერაციის „...“ის რესპუბლიკის სოფ. „...“ის მახლობლად მდებარე სამხედრო – საწვრთნელ ბანაკში. აქ, იმავე წლის დეკემბრამდე, სხვადასხვა ეროვნების ინსტრუქტორთა დახმარებით გაიარეს სპეციალური სამხედრო მომზადება. 1997 წლის ოქტომბერში „...“ში მყოფი ს. თ.-ას მეგზურობით გ.ა.-მე ჩავიდა აღნიშნულ ბანაკში, შეამოწმა ჯგუფის წევრთა მომზადების მიმდინარეობა, შეხვდა ბანაკის ხელმძღვანელებს. ამ დროს გადაწყდა, რომ საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმაში ქართველებთან ერთად მონაწილეობას მიიღებდა ექვსი „...“ნი.

1997 წლის დეკემბერში სპეციალურად მომზადებული ჯგუფის 10 წევრი – გ. ე.-უა, გ. თ.-უა, ზ. ე.-ია, გ. ქ.-ია, ნ. ჩ.-უა და სხვები ექვს „...“ან ერთად ჩამოვიდნენ ქ. „...“ში.

„...“ში დაბრუნებამდე უშუალოდ გ. ე.-ამ ორგანიზება გაუწია და სამხედრო – საწვრთნელი ბანაკიდან, დაუდგენელ პირთა მეშვეობით, ქ. „...“ში უკანონოდ გადმოზიდა პრეზიდენტზე თავდასხმისათვის გამიზნული ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა.

ავტურის ბანაკში მიღებული ჭრილობების გამო საქართველოში დაბრუნება ვერ შეძლო ვ. დ.-მა და მის მოსავლელად დარჩენილმა ვ. ხ.-ამ. მათ ნაცვლად გ.ე.-ამ 1997 წლის დეკემბერში შეთქმულებაში ჩააბა ზ. გ.-ა და ტ. ბ.-ია.

„...“დან დაბრუნებისთანავე გ. ე.-ამ და ფ. გ.-ამ „...“ის სხვადასხვა უბანში დაიქირავეს კონსპირაციული ბინები შეთქმულების მონაწილეთათვის.

შეთქმულებმა შეისწავლეს ადგილმდებარეობა და გადაწყვიტეს, რომ პრეზიდენტ ე. შ.-ზე ტერორისტულ აქტს განახორციელებდნენ ღამის საათებში ქ. „.....“ში, „.....“ის ქუჩაზე, „.....“ის მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ტყე-პარკის სკვერიდან, როდესაც პრეზიდენტი, ესკორტის თანხლებით, მოძრაობას დაიწყებდა სახელმწიფო კანცელარიიდან ზემოაღნიშნული ადგილის გავლით, „.....“ის სამთავრობო რეზიდენციის მიმართულებით.

თავდასხმის ოპერატიულად განხორციელებისათვის შეთქმულებმა „.....“ის მოედანსა და „.....“-ის აღმართზე მონიშნეს ადგილები, საიდანაც თანამზრახველთა ჯგუფის წევრები კავშირგაბმულობის საშუალებით თავდამსხმელებს დაუყოვნებლივ და შეუფერხებლად მიაწვდიდნენ ინფორმაციას სახელმწიფო კანცელარიიდან ტერაქტის მონაწილეთა ჩასაფრების ადგილისაკენ პრეზიდენტისა და მისი თანმხლები ესკორტის გადაადგილების შესახებ.

ამასთან ერთად, გ.ა.-ბე და მისი თანამზრახველები ითვალისწინებდნენ, რომ ზემოაღნიშნულ ვითარებაში, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით, ხელყუმბარებით, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნებით და სხვა საშუალებების გამოყენებით პრეზიდენტზე თავდასხმა გამოიწვევდა ესკორტში მონაწილე, ასევე სხვა პირების მკვლელობას, სხეულის დაზიანებას, ქონების განადგურებას, სხვა მძიმე შედეგებს და ისინი შეგნებულედ უშვებდნენ ასეთი შედეგების დადგომას.

დანაშაულის ჩადენის გაიოლებისათვის, შეთქმულთა უსაფრთხო გადაადგილებისა და იარაღის გადაზიდვისათვის გ.ე.-ას ხელმძღვანელობით შეიძინეს სატრანსპორტო საშუალებები, კერძოდ „იკარუსის“ მარკის ავტობუსი, რომელსაც მინდობილობით მართავდა ზ. ზ.-ია და სამარშრუტო რეისებს ასრულებდა „.....“სა და „.....“ს შორის.

წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, პრეზიდენტზე თავდასხმისათვის შერჩეული ადგილმდებარეობის შესწავლის მიზნით, გ.ქ.-ას სახელზე შეიძინეს მარშრუტის ზაზი, რომელიც გაივილიდა „.....“ის ქუჩას და ამავე მარშრუტზე მოძრავი „მერსედისის“ მარკის მიკროავტობუსი, რომელზეც რეგულარულად მუშაობდა გ. ქ.-ია და სწავლობდა პრეზიდენტისა და მისი ესკორტის გადაადგილების დეტალებს.

ასევე, შეიძინეს სამი მსუბუქი ავტომანქანა, რომლებსაც შესაბამისად მართავდნენ ზ. მ.-ლი, ზ. ე.-ია და ტ. ბ.-ია.

შეთქმულთა შორის კავშირის უზრუნველყოფისა და პრეზიდენტის ესკორტის გადაადგილების შესახებ ინფორმაციის ოპერატიულად მიღებისათვის, შეიძინეს მობილური ტელეფონები და რადიოგადამცემები, ხოლო თავდასხმის ვიდეოგადაღებისათვის - „პანასონიკის“ ფირმის ვიდეოკამერა. „მოტოროლას“ სისტემის რადიოკავშირის საშუალება დამონტაჟდა ზ. მ.-ის ავტომანქანაში.

1997 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, გ. ე.-ას დავალებით, ზ. ზ.-იამ მასზე გაპიროვნებული „იკარუსის“ ავტობუსით ქ. „.....“დან „.....“ში უკანონოდ გადმოზიდა ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა, რაც შეთქმულებმა გამოიყენეს პრეზიდენტზე თავდასხმისათვის.

პრეზიდენტის მკვლელობა დაიგეგმა ჯერ 1998 წლის 30 იანვარს, შემდეგ – 6 თებერვალს, ორივე შემთხვევაში შეთქმულთა არაორგანიზებულობის გამო თავდასხმა ვერ განხორციელდა.

1998 წლის 9 თებერვალს, დაახლოებით 22 საათზე, გ.ე.-ას განკარგულებით, შეთქმულთა ჯგუფის წევრები „მერსედესის“ და „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანებით, რომლებსაც მართავდნენ გ. ქ.-ია და ზ. ე.-ია და სადაც მოთავსებული იყო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები, საბრძოლო მასალა, სხვადასხვა ტიპის ხელყუმბარები, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნები, საბრძოლო აღჭურვილობა და პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები, გამოცხადდნენ „...“ ა„...“ის მემორიალის მახლობლად, „...“ის ქ. №„...“-ში მდებარე კონსპირაციულ ბინაში.

ამავე დროს, შეთქმულთა გეგმის მიხედვით, მობილური ტელეფონით აღჭურვილი ფ. გ.-ა მივიდა „...“ის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზ. მ.-ლი ავტომანქანით დადგა „...“ის აღმართზე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლობის ოფისის სიახლოვეს, ს. მ.-ია კი ვიდეოკამერით იდგა სასტუმრო „...თან“ არსებულ აბანოსთან, საიდანაც კარგად ჩანდა თავდასხმის ადგილი.

იმავე საღამოს, დაახლოებით 23 საათსა და 10 წუთზე, საქართველოს პრეზიდენტმა ე. შ.-ემ, „მერსედესის“ მარკის სამსახურებრივი ჯავშნიანი ავტომანქანით, ესკორტის თანხლებით, სახელმწიფო კანცელარიიდან „...“ის მოედნისა და „...“ის ქუჩის გავლით დაიწყო მოძრაობა „...“ის სამთავრობო რეზიდენციისაკენ. „...“ის მოედანზე ესკორტის გამოჩენის შესახებ ფ. გ.-ამ მობილური ტელეფონით აცნობა გ.ე.-ას, ხოლო ზ. მ.-მა გ. ე.-ას იგივე ინფორმაცია გადასცა ავტომანქანების „...“ის ხიდთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსკენ ჩახვევისთანავე.

ინფორმაციის მიღების შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღებით, საბრძოლო მასალებით და აღჭურვილობით შეიარაღებულმა ზ. ე.-ამ, გ. ე.-ამ, ნ. ჩ.-ამ, გ. ქ.-ამ, ბ. თ.-ამ, ვ. ჯ.-მა და ჯგუფის სხვა წევრებმა დაიკავეს წინასწარ შეთანხმებული საბრძოლო პოზიციები „...“ის „...“ის მემორიალის მიმდებარე სკვერში. მათგან გ. ე.-უა და გ. ქ.-ია დადგნენ საბრძოლო პოზიციის ბოლოს, რათა თავდასხმის შემდეგ მოეხდინათ საკონტროლო გასროლები პრეზიდენტის მიმართულებით. იმავედროულად ტ. ბ.-ამ და ზ. გ.-ამ შემოაბრუნეს ავტომანქანები და უზრუნველყვეს შემთხვევის ადგილიდან დროული მიმალვისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მზადყოფნა. მათვე ევალებოდათ, საჭიროების შემთხვევაში, დანაშაულის ადგილიდან მობრუნებულ თავდამსხმელთათვის შეიარაღებული დახმარების აღმოჩენა.

დაახლოებით 23 საათსა და 15 წუთზე, ჩასაფრების ადგილზე საქართველოს პრეზიდენტის და მისი თანმხლები ესკორტის მიახლოებისთანავე, შეთქმულებმა ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნებით, ხელყუმბარებითა და ავტომატური იარაღით ცეცხლი გაუხსნეს პრეზიდენტს, ესკორტში შემავალ ავტომანქანებში მსხლომ პირებს და შეეცადნენ მათ მოკვლას.

თავდასხმის შედეგად, თავდამსხმელთა მიერ გასროლილი იარაღებიდან, გამოძიებით დაუდგენელი ჭურვებით, მოკლულ იქნენ სამთავრობო დაცვის სამსახურის ოფიცრები: კ. შ.-ბე და დ. კ.-რი. ამავე სამსახურის ოფიცრმა ვ. კ.-ემ მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო, სხეულის მძიმე დაზიანება, ხოლო ა. ს.-მა- მსუბუქი დაზიანება, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

ამავე სამსახურის სხვა თანამშრომლებს დაზიანებები არ მიუღიათ, მაგრამ მათ სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეექმნა.

გასროლილი ჭურვებისაგან დაზიანდა და განადგურდა პრეზიდენტის ესკორტში შემავალი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსებზე რიცხული ზცალი ავტომანქანა, მათ შორის

ჯავშნიანი „მერსედესი“, სახ. № „.....“, „.....“ – ზარალი 144.000 ლარი:

დანაშაულის შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა შეადგინა 201. 856 ლარი.

დაცვის წევრებმა და შემთხვევის ადგილზე დასახმარებლად მისულმა სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლებმა საპასუხო სროლებით თავდამსხმელები მოიგერიეს. ამ დროს სიცოცხლისათვის საშიში სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო დანაშაულის ერთ-ერთმა ამსრულებელმა – ვ. ჯ.-მა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. თავდამსხმელებმა მიატოვეს მისი გვამი და ზემოხსენებული მიკროავტობუსითა და „ვაზ-2106“ ავტომანქანით მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

საქართველოს პრეზიდენტის მოკვლის დანაშაულებრივი განზრახვა შეთქმულების, მათ შორის -გ.ა.-ის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ განხორციელდა. დანაშაულის ამსრულებელთა მიერ ნასროლმა ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებმა, ხელყუმბარებმა და ავტომატური იარაღიდან გასროლილმა ტყვიებმა დააზიანეს პრეზიდენტის სამსახურებრივი ჯავშნიანი ავტომანქანა, მაგრამ მაინც ვერ შეაფერხეს მისი წინსვლა. იგი გასცდა თავდასხმის ეპიცენტრს, რამაც შესაძლებელი გახადა პრეზიდენტის უვნებლად გაყვანა შემთხვევის ადგილიდან.

განაჩენით ზ. მ.-სა და ტ. ბ.-ას მსჯავრი დაედოთ იმისათვის, რომ მათ, საქართველოს მოქალაქეებმა, ჩაიდინეს სახელმწიფო ღალატი – კერძოდ იმისათვის, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს შეთქმულებაში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დასამხობად და ხელში ჩასაგდებად.

1998 წლის 9 თებერვალს ჩაიდინეს ტერორისტული აქტის მცდელობა – ხელისუფლების წარმომადგენლის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს პრეზიდენტის ე. შ.-ის მკვლელობის მცდელობა, მის სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების მიზნით, რაც ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი ტ. ბ.-ას, ზ. მ.-ის და მათი თანამზრახველების ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ამ ტერორისტული აქტის მცდელობის დროს, მათვე ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედების მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი გაადვილების მიზნით, დაზარალებულთა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ისეთი საშუალებებით, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენდა მრავალ პირთა სიცოცხლისათვის, განზრახ ჩაიდინეს რამდენიმე პირის – საქართველოს პრეზიდენტის დაცვის თანამშრომელთა მკვლელობის მცდელობა.

ამ ტერორისტული აქტის მცდელობის დროს, აფეთქებითა და სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებებით, ჩაიდინეს სხვისი ნივთის სახელმწიფო ქონების დაზიანება და განადგურება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგები.

კონკრეტულ გარემოებათა შესახებ მითითებულია ამ განჩინების აღწერილობით ნაწილში.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივართ მსჯავრდებულ გ. ა.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატები ი. ბ.-ლი და მ. ჯ.-ლი ითხოვენ გ.ა.-ის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 17



ავვისტოს განაჩენის გაუქმებას სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბრალდების ეპიზოდში და საქმის ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის გადაცემას, ხოლო სხვა ნაწილში კი ითხოვენ განაჩენის გაუქმებას და საქმის წარმოებით შეწყვეტას.

მსჯავრდებული ზ. მ.-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ შეუმსუბუქდეს შეფარდებული სასჯელი.

მსჯავრდებული ტ. ბ.-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს მის მიმართ დადგენილი განაჩენის გაუქმებას და საქმის წარმოებით შეწყვეტას.

მსჯავრდებულ გ. ა.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატები ი.ბ.-ლი და მ. ჯ.-ლი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ქვემოთ მითითებული 20 განჩინების გაუქმებას, რომლებიც გამოტანილია გ. ა.-ისა და სხვათა ბრალდების საქმის განხილვისას, კერძოდ:

1. 1999 წლის 15 ნოემბრის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება.
2. 2000 წლის 14 მარტის განჩინება, გ.ა.-ის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.
3. 2000 წლის 10 ივლისის განჩინება, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დაკითხვის შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმის თაობაზე.
4. 2000 წლის 11 ივლისის განჩინება, განსასჯელ გ. ა.-ის სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ.
5. 2000 წლის 18 სექტემბრის განჩინება, სათადარიგო მსაჯულის აცილების შესახებ შუამდგომლობის არდაკმაყოფილების თაობაზე.
6. 2000 წლის 22 ნოემბრის განჩინება, „.....“ის ოლქის ქ. „.....“ში გ.ა.-ის ბინაში ჩატარებული ჩხრეკის ოქმის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმის თაობაზე.
7. 2001 წლის 2 აპრილის განჩინება, განსასჯელ გ. ა.-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ბრალდების 34 ეპიზოდში.
8. 2001 წლის 10 აპრილის განჩინება, საქმის 71-ე ტომის 108-ე ფურცელზე არსებული ოქმის, „ბრალდებულ გ.ა.-სა და მისი დამცველისათვის საქმის მასალების წარდგენის შესახებ“, დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმის თაობაზე.
9. 2001 წლის 8 მაისის განჩინება, სასამართლო კოლეგიის უკანონო შემადგენლობის გამო კოლეგიის აცილების თაობაზე შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.
10. 2001 წლის 15 მაისის განჩინებები, სსსკ 162-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, გ. ა.-ის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ დაყენებულ შუამდგომლობებზე უარის თქმის თაობაზე.
11. 2001 წლის 21 მაისის განჩინება, გ. ა.-ის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, 1993 წლის 25 ოქტომბრის (ტ.37; ს.ფ. 23-30) და 1998 წლის 19 მარტის დადგენილებების უკანონო საპროცესო აქტებად ცნობის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობებზე უარის თქმის შესახებ.
12. 2001 წლის 24 მაისის განჩინება, კრწანისის რაიონის სასამართლოს მოსამართლე მ. ოთარაშვილის მიერ 1998 წლის 19 მარტს გ.ა.-ის დაპატიმრების შესახებ გაცემული ბრძანების (ტ. 7; ს.ფ. 24) უკანონო საპროცესო აქტად ცნობის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.

13. 2001 წლის 25 მაისის განჩინება, კრწანისის რაიონის სასამართლოს მოსამართლე მ. ოთარაშვილის 1998 წლის 20 მარტის ბრძანების (ტ. 7; ს.ფ. 40) უკანონო საპროცესო აქტად ცნობის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.

14. 2001 წლის 28 მაისის განჩინება, გ. ა.-ის მიმართ საპატიმრო ვადის გაგრძელებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბრძანების (ტ. 6 სფ 290) უკანონო საპროცესო აქტად ცნობის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.

15. 2001 წლის 28 მაისის განჩინება, გ. ა.-ის მიმართ საპატიმრო ვადის გაგრძელებაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ბრძანების (ტ. 6 ს.ფ. 356-362) უკანონო საპროცესო აქტად ცნობის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.

16. 2001 წლის 30 მაისის განჩინება, დაცვის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის დამთავრების შესახებ.

17. 2001 წლის 5 ივნისის განჩინება, დაცვის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის დამთავრების შესახებ.

18. 2001 წლის 26 ივლისის განჩინება, სასამართლო სხდომის გ. ა.-ის ადვოკატის გარეშე გაგრძელების შესახებ.

19. 2001 წლის 26 ივლისის განჩინება, გ. ა.-ის სასამართლო სხდომიდან გაძევების შესახებ.

20. 2001 წლის 1 აგვისტოს განჩინება, განსასჯელების ნ. ჩ.-ას, ტ. ბ.-ას, ზ. გ.-ს, ზ. მ.-ის და ბ. თ.-ას ადვოკატების გარეშე საქმის განხილვის გაგრძელების შესახებ.

ადვოკატები ი.ბ.-ლი და მ. ჯ.-ლი განაჩენის გაუქმების საფუძველად მიუთითებენ შემდეგ გარემოებებზე: ბრალდების მხარემ უარი განაცხადა გ.ა.-თვის 1993 წელს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლით და 315-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით (სახელმწიფო ღალატი, შეთქმულება, ამბოხება) წარდგენილ ბრალდებაზე და მოითხოვა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა.

სასამართლო კოლეგიამ არ გაითვალისწინა პროკურორების ეს პოზიცია და განაჩენში მიუთითა, რომ გ.ა.-მე სასამართლოს მიერ ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ 307-ე და 315-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით, კერძოდ იმისათვის, რომ მან 1993 წელს ჩაიდინა სახელმწიფო ღალატი, მონაწილეობა მიიღო შეთქმუებასა და ამბოხებაში, თუმცა აღნიშნული საკითხი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ყოველგვარი მსჯელობის გარეშე დატოვა ღიად, რითაც დაირღვა სსსკ-ის 24-ე და 28-ე მუხლების მოთხოვნები.

განაჩენსა და საბრალდებო სიტყვაში არ არის ნახსენები სახელმწიფო ბრალდების მიერ სასამართლოსათვის 2001 წლის 5 აპრილს გ.ა.-ის მიმართ წარდგენის ახალი ფორმულირების ის ეპიზოდი, რომელიც ეხებოდა ფოთის ნავსადგურიდან 7824 ტონა შავი ლითონის ჯართის გატაცებას. ბრალდების მხარეს არ დაუყენებია საკითხი აღნიშნულ ეპიზოდში სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ და არც კვალიფიკაცია შეცვალა. სასამართლო კოლეგიამ საერთოდ უყურადღებოდ დატოვა აღნიშნული ეპიზოდი, რითაც მექანიკურად გაიმეორა იგივე შეცდომა, რაც ბრალდების მხარემ დაუშვა.

სასამართლო კოლეგიამ დაცვის მხარეს არ მისცა შესაძლებლობა, 127830 აშშ დოლარის გატაცების ეპიზოდში წარმოედგინა თავისი მტკიცებულებები, რითაც უტყუარად იქნებოდა დადგენილი, რომ ზემოაღნიშნული თანხა გაიხარჯა მიზნობრივად ლტოლვილთა საჭიროებისათვის.

სასამართლო კოლეგიის განაჩენით გ.ა.-ძე, ყოვლად დაუსაბუთებლად და უკანონოდ ცნო დამნაშავედ საქართველოს პრეზიდენტ ე. შ.-ზე განხორციელებული ტერაქტის მცდელობის ორგანიზებასა და დაფინანსებაში. განაჩენი ამ ეპიზოდში აგებულია მტკიცებულებებისა და ფაქტების არაობიექტურ და გაყალბებულ ანალიზზე, იგნორირებულ იქნა მთელი რიგი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ გ.ა.-ის უდანაშაულობას.

სასამართლო კოლეგიამ დაუშვა მთელი რიგი არსებითი ხასიათის პროცესუალური დარღვევები. კერძოდ, იგნორირებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული იმგვარი ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა დაცვის უფლება და შეჯიბრებითობა; არ იქნა გამოკვლეული დაცვის მხარის მთელი რიგი არსებითი ხასიათის მტკიცებულებები, უფრო მეტიც: სასამართლომ დაცვის მხარეს საერთოდ აუკრძალა მტკიცებულებების წარმოდგენა; გ.ა.-ესა და სხვა მსჯავრდებულებს არ მიეცათ საბოლოო სიტყვის უფლება; განაჩენი გამოიტანა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; გ.ა.-ძე მთელი პროცესის განმავლობაში იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში, რასაც კოლეგიის მიერ არ მიეცა სათანადო სამართლებრივი შეფასება; კოლეგიის თავმჯდომარის მიერ არასწორად იქნა განმარტებული საპროცესო კანონის მთელი რიგი მოთხოვნები; 2001 წლის ივნისში გ.ა.-ისა და სხვა განსასჯელებისათვის სახაზინო წესით დანიშნულ ადვოკატებს არ მიეცათ გონივრული და საკმარისი დრო, რათა გასცნობოდნენ საქმის მასალებს და განეხორციელებინათ დაცვა; წინასწარ გამიზნულად, კანონმდებლობისა და ზნეობის ნორმების შელახვით, სასამართლო კოლეგიის მიერ გაყალბებულ იქნა სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში შესვლის თარიღი.

სასამართლო კოლეგიამ დაუშვა მრავალი უხეში დარღვევა, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს:

კოლეგიის მიერ სასამართლო პროცესის ეტაპების გამოტოვება; სსსკ-ის 475-ე მუხლის შესაბამისად, ადვოკატთა მიერ გ. ა.-თვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობის არგანზილვა; არაპროცესუალური პირის - „კონტაქტის დამამყარებლის“ სასამართლო პროცესში ჩართვა; მხარეთა დასაბუთებული მოთხოვნის მიუხედავად, დაზარალებულისა და ექსპერტების არგამოძახება; ორი მსაჯულის ერთდროულად აცილების შესახებ შუამდგომლობის დაყენების არდაშვება; პროცესის ჩატარება განსასჯელებისა და ადვოკატის გარეშე, იმ დროს, როდესაც ილახებოდა განსასჯელთა უფლებები; გ.ა.-ის მიმართ მთელ რიგ ეპიზოდებში საქმის დაუსაბუთებლად შეწყვეტა.

სსსკ-ის მე-7 მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, ადვოკატები ი. ბ.-ლი და მ. ჯ.-ლი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვენ ამ განჩინების აღწერილობით ნაწილში ჩამოთვლილ სასამართლო კოლეგიის მიერ მიღებულ იმ 20 განჩინების უკანონო საპროცესო აქტად ცნობას და გაუქმებას.

მსჯავრდებული ზ. მ.-ლი საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ წინასწარი გამოძიება და სასამართლოში საქმის განხილვა მოხდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევებით, ასევე არასწორად იქნა გამოყენებული მატერიალური კანონი, რამაც

გავლენა მოახდინა კანონიერი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე, ასევე მიუთითებს, რომ განაჩენით შეფარდებული სასჯელი არის ზედმეტად მკაცრი და უსამართლო.

მსჯავრდებული ტ. ბ.-ია საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ მის მიმართ დადგენილ იქნა უკანონო განაჩენი. იგი საქართველოს პრეზიდენტზე ტერორისტული თავდასხმის ოპერაციის მონაწილე გახდა შემთხვევით. წინასწარი გამოძიება და საქმის სასამართლოში განხილვა მიმდინარეობდა ტენდენციურად და არაობიექტურად, დაირღვა მისი კონსტიტუციური და საპროცესო უფლებები, არ მიეცა მტკიცებულებათა წარდგენისა და მოწმეთა დაკითხვის საშუალება, არ მიეცა საბოლოო სიტყვა. სახაზინო წესით დანიშნულ ადვოკატს არ მიეცა დაცვის განხორციელების საშუალება და შესაბამისი დრო საქმის მასალების გასაცნობად. წარდგენილი ბრალდება არის უსაფუძვლო, რადგან არაა შეკრებილი სათანადო დამამტკიცებელი საბუთები.

დიდი პალატის სხდომაზე ადვოკატებმა ი. ბ.-მა და მ. ჯ.-მა მხარი დაუჭირეს მათ მიერ წარმოდგენილ საკასაციო და კერძო საკასაციო საჩივრების მოთხოვნას და იშუამდგომლეს მათი დაკმაყოფილების შესახებ.

მსჯავრდებულმა გ. ა.-ემ აღნიშნა, რომ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია პრეზიდენტ ე. შ.-ზე ტერორისტულ აქტში და არც დაუფინანსებია ტერაქტი, ამის შესახებ საქმეში არ მოიპოვება არავითარი დამამტკიცებელი საბუთი. რაც შეეხება ფულის გატაცების ეპიზოდს, მან თანხის მიღებაზე მართლაც მოაწერა ხელი, მაგრამ ფული გაიხარჯა აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის კვებასა და მათი სხვა საკითხების მოგვარებაზე. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საჩივრებს და იშუამდგომლა მათი დაკმაყოფილების თაობაზე.

მსჯავრდებულ ტ. ბ.-ას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ლ. ტ.-მა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს, აღნიშნა, რომ მსჯავრდებულ ტ. ბ.-ას მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტში და იგი შემთხვევით გარემოებათა გამო აღმოჩნდა შემთხვევის ადგილზე. ამასთან, დარღვეულ იქნა ტ. ბ.-ას დაცვის უფლება, რაც წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

მსჯავრდებულმა ტ. ბ.-ამ აღნიშნა, რომ მას მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმაში და სრულიად გაუგებარი ვითარების გამო აღმოჩნდა შემთხვევის ადგილზე. მან მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივარს და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილების შესახებ.

მსჯავრდებულ ზ. მ.-ლის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ. ს.-ამ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, აღნიშნა, რომ მარანელის დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის ხარისხისა და ხასიათის გათვალისწინებით შეფარდებული აქვს აშკარად მკაცრი სასჯელი და იშუამდგომლა, რომ მსჯავრდებულ ზ. მ.-ლს შეუმცირდეს შეფარდებული სასჯელის ზომა.

მსჯავრდებულმა ზ. მ.-ლმა მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და პალატის წინაშე იშუამდგომლა, რომ განაჩენში შეტანილ იქნეს ცვლილება იმ მიმართებით, რათა შეუმცირდეს შეფარდებული სასჯელი.

პროკურორმა გ. ტ.-მა მიმოიხილა საქმის მასალები და აღნიშნა, რომ განაჩენის აღწერილობითი ნაწილის მითითება, თითქოს გ.ა.-ემ 1993 წელს ჩაიდინა სახელმწიფო დალატი, ე.ი. მონაწილეობა მიიღო შეთქმულებაში

და ამბობებაში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობის დასამხობად და ხელში ჩასაგდებად, უნდა ჩაითვალოს განაჩენის ტექნიკური ხასიათის ხარვეზად, რადგან ამ

ეპიზოდში გ.ა.-ეს სასამართლო პროცესში მონაწილე პროკურორმა მოუხსნა ბრალდება, მითუმეტესი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილით. გ.ა.-მე ამ ეპიზოდში არ ყოფილა ცნობილი დამნაშავედ და არც სასჯელი ჰქონია განსაზღვრული.

პროკურორმა აღნიშნა, რომ რადგან გ.ა.-ეს უშუალოდ არ მიუღია მონაწილეობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმაში და არ იყო ამ დანაშაულის ამსრულებელი, არამედ მან, როგორც თანამონაწილემ (ორგანიზატორის სახით) მიიღო მონაწილეობა, ამიტომ განაჩენში შეტანილ უნდა იქნეს ცვლილება იმ მიმართებით, რომ 17, 67 მუხლის მეოთხე ნაწილის და 17, 104-ე მუხლის მესამე, მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე პუნქტებით გათვალისწინებულ ბრალდებას წინ უნდა დაემატოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლზე მითითება და ამ მუხლებით უნდა განესაზღვროს 14-14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სხვა ნაწილში განაჩენი გ.ა.-ის მიმართ პროკურორმა მიიჩნია კანონიერად და იშუამდგომლა უცვლელად დატოვება, ამასთან, სასჯელის შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ გ.ა.-ის მიმართ 14 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

პროკურორმა კანონიერად მიიჩნია გასაჩივრებული 20 განჩინება და იშუამდგომლა მათი უცვლელად დატოვების შესახებ.

პროკურორმა კანონიერად მიიჩნია მსჯავრდებულ ტ. ბ.-ას მიმართ დადგენილი განაჩენი, ხოლო მსჯავრდებულ ზ. მ.-ლის მიმართ იშუამდგომლა განაჩენში ცვლილების შეტანა იმ მიმართებით, რომ მას 2 წლით შეუმცირდეს შეფარდებული სასჯელი და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

## ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

დიდი პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა საკასაციო საჩივრებისა და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მოისმინა ადვოკატების ი. ბ.-ლის, მ. ჯ.-ლის, ლ. ტ.-ლისა და მ. ს.-ას მოსაზრება, ასევე მსჯავრდებულების გ. ა.-ის, ზ. მ.-ლისა და ტ. ბ.-ას განმარტებები, პროკურორ გ. ტ.-ის მოსაზრება და მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

დიდი პალატა ეთანხმება მსჯავრდებულ გ.ა.-ის ინტერესების დამცველ ადვოკატების საკასაციო საჩივრის მითითებას იმის შესახებ, რომ საქმის განმხილველმა სასამართლო კოლეგიამ არ გაითვალისწინა სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია, რომელმაც უარი თქვა 1993 წელს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გ. ა.-თვის საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლითა და 315-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაზე და მოითხოვა მის მიმართ ამ ნაწილში საქმის წარმოებით შეწყვეტა.

სასამართლო კოლეგიამ პროკურორის ასეთი მოთხოვნის მიუხედავად განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ გ. ა.-მეს მსჯავრი უნდა დაედოს იმისათვის, რომ მან, საქართველოს მოქალაქემ, 1993 წელს, ჩაიდინა სახელმწიფოს ღალატი, მონაწილეობა მიიღო შეთქმულებაში და ამბოხებაში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დასამხობად და ხელში ჩასაგდებად, რამაც გამოიწვია ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა და სხვა მძიმე შედეგი, თუმცა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილით ამ ეპიზოდში სასჯელი არ განუსაზღვრავს.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო კოლეგიამ კონკრეტულ ეპიზოდთან დაკავშირებით, არ დაიცვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ თუ პროკურორი სასამართლოში უარს

იტყვის ბრალდებაზე, სასამართლო ვალდებულია შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე ან გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი. კანონის აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, დიდი პალატა თვლის, რომ განაჩენი გ. ა.-ის მიმართ სსკ-ის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებული ბრალდების ეპიზოდში (1993 წელს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით) უნდა გაუქმდეს და საქმე ბრალდების ამ ეპიზოდში წარმოებით შეწყდეს.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ გ. ა.-ეს მსჯავრი არ დასდებია „...“ის ნავსადგურიდან 7824 ტონა შავი ლითონის ჯართის გატაცების ეპიზოდში. ამიტომ ეს ეპიზოდი პალატის მსჯელობის საგანი ვერ გახდება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლის თანახმად, საკასაციო წესით გასაჩივრებისა და განხილვის საგანს წარმოადგენს განაჩენი, რომელიც არ არის კანონიერ ძალაში შესული და კასატორის აზრით უკანონოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან განაჩენით გ. ა.-ეს მსჯავრი არ დასდებია 7824 ტონა შავი ლითონის გატაცების ეპიზოდში, ამიტომ აღნიშნული ეპიზოდი პალატის განხილვის საგანს არ წარმოადგენს.

დიდი პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. ა.-ის მიმართ განაჩენი საქართველოს პრეზიდენტზე ე. შ.-ზე განხორციელებული ტერორისტული აქტის მცდელობის ორგანიზებასა და დაფინანსების ეპიზოდში წარდგენილ ბრალდებაში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი სსკ-ის 307-ე მუხლით, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით, 187-ე მუხლის მესამე ნაწილით და 2001 წლის 15 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 17, 67-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, 17, 104-ე მუხლის მესამე, მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე პუნქტებით გათვალისწინებულ ეპიზოდში უნდა გაუქმდეს და საქმე წარმოებით შეწყდეს, რადგან მისი მონაწილეობა ზემოაღნიშნულიდან ბრალდების ეპიზოდში არ დასტურდება.

სასამართლო კოლეგიამ მსჯავრდებულ გ. ა.-ის მიერ ტერაქტის ორგანიზება და დაფინანსება, დადგენილად მიიჩნია შემდეგ გარემოებათა გამო:

1998 წლის 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის მიმართ განხორციელებულ ტერორისტულ აქტში მონაწილეობას ღებულობდა ორ ათეულამდე პირი, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეები, თავდასხმის ოპერაცია უზრუნველყოფილი იყო ტანკსაწინააღმდეგო, ავტომატური და სხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღით, საბრძოლო მასალით, აღჭურვილობით, პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით. შეთქმულებმა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე – „...“ში არსებულ საიდუმლო საწვრთნელ ბანაკში ორგანიზებულად გაიარეს ხანგრძლივი სპეციალური სამხედრო-საწვრთნელი მომზადება ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, თავდასხმის მომზადებისა და განხორციელებისათვის შეიძინეს ექვსი სხვადასხვა მარკის ავტომანქანა, სამარშრუტე ხაზი, კავშირგაბმულობის საშუალებები, ქ. „...“ში სხვადასხვა მისამართებზე იქირავეს თოთხმეტი კონსპირაციული ბინა, შეიძინეს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები და ა.შ.

ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულის მომზადებას და განხორციელებას ესაჭიროებოდა განსაკუთრებული ორგანიზაცია და დაფინანსება, რაც აშკარად აღემატებოდა დანაშაულის ამსრულებელთა შესაძლებლობებს.

ზ. ე.-ამ, წინასწარ გამოძიებაში აღიარა რა მის მიერ ჩადენილი დანაშაული- და ადვოკატის თანდასწრებით აჩვენა, რომ „...“ში საბრძოლო მომზადების გავლისას გ. ე.-ა გარკვეული დროით იმყოფებოდა ქ. „...“ში. იქიდან დაბრუნების შემდეგ მან გაანდო, რომ

მათთან ჩამოვიდოდა გ. ა.-ძე. მართლაც, 1997 წლის ოქტომბრის ბოლოს, რუსეთ-იტალიის საფეხბურთო მატჩის წინა დღეს, საღამოს საათებში ნახა, რომ ბანაკში მისული გ. ა.-ძე ესაუბრებოდა ბანაკის ხელმძღვანელებს. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ გ. ა.-ძე შეხვდა მათი ჯგუფის წევრებს, მათ შორის თვითონ ზ. ე.-ას და აცნობა, რომ ისინი მალე ჩავიდოდნენ „.....“ში პრეზიდენტ ე. შ.-ზე თავდასხმის განსახორციელებლად და ამ თავდასხმაში მონაწილეობას მიიღებდა ექვსი „.....“მებრძოლი.

ზ. ე.-მ გ. ე.-გან გაიგო, რომ შეთქმულებას აფინანსებდა გ.ა.-ძე, რომლის ბანაკში ჩასვლის მიზანი იყო ენახა, ნამდვილად გადიოდა თუ არა ჯგუფი სამხედრო მომზადებას და დარწმუნდა, რომ მისი ფული წყალში არ იყრებოდა. ზ. ე.-ას მისგან არაერთხელ ჰქონდა გაგებულები, რომ საქართველოს პრეზიდენტზე წარმატებით განხორციელებული თავდასხმის შემთხვევაში ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა გ.ა.-ძე.

გ.ა.-ის წასვლის შემდეგ ბანაკის ხელმძღვანელმა, ა. ა.-ის სახელით ცნობილმა პიროვნებამ, შეარჩია ხუთი „.....“მებრძოლი და მათთან ერთად საბრძოლო მომზადების გავლის შემდეგ ქ. „.....“ში მონაწილეობა მიიღო პრეზიდენტ ე. შ.-ზე თავდასხმაში.

ზ. ე.-ამ გ. ა.-თან დაპირისპირების დროს ფაქტიურად დაადასტურა თავისი ჩვენებები და განმარტა, რომ რუსეთ-იტალიის მატჩის წინ გ. ა.-ძე ჩავიდა მათ საწვრთნელ ბანაკში, სადაც იგი ესაუბრა „.....“ის წარმომადგენლებს, რის შემდეგ გადაწყდა და „.....“ში ტერორისტულ აქტში მონაწილეობა მიიღო ექვსმა „.....“მა მებრძოლმა, რაც იყო გ.ა.-ის დამსახურება.

თავის მხრივ გ.ა.-ემ ნაწილობრივ დაადასტურა ზ. ე.-ას ჩვენება და განმარტა, რომ საწვრთნელ ბანაკში ნამდვილად შეხვდა და ესაუბრა როგორც „.....“თა წარმომადგენლებს, ისე გ. ე.-ას ჯგუფის წევრებს.

ბ. თ.-ამ წინასწარი გამოძიების დროს ადვოკატის თანდასწრებით მიცემულ ჩვენებებში დაადასტურა ზ. ე.-ას ჩვენება და განმარტა, რომ „.....“ის სამხედრო-საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშის პერიოდში, 1997 წლის დაახლოებით სექტემბერში გ. ე.-ა 10 დღით წავიდა ქ. „.....“ში. ამავე პერიოდში დაიჭრა ვ. დ.-ი. ამის შემდეგ გ. ე.-ამ და ს. თ.-ამ ბანაკში მიიყვანეს გ. ა.-ძე. ისინი შევიდნენ „.....“სთვის განკუთვნილ სახლში. სახლიდან გამოსვლის შემდეგ გ. ე.-ამ ის და მათი ჯგუფის წევრები გააცნო გ.ა.-ეს, ამასთან აუხსნა, რომ ბ. თ.-უა, ბ. ს.-უა, ი.-ავა და ს. ზ.-ია იყვნენ აფხაზეთიდან ლტოლვილები, ხოლო დანარჩენები – „.....“დან; აცნობა ისიც, რომ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ვ. დ.-ი ვარჯიშის დროს მიღებული ჭრილობის გამო მკურნალობდა საავადმყოფოში.

ჯგუფის წევრებთან შეხვედრისას გ. ა.-ემ აღნიშნა, რომ ე. შ.-ძე საქართველოში ჩამოიყვანეს რუსებმა. მან კი სანაცვლოდ ჩააბარა გაგრა. გ. ა.-ემ ხაზი გაუსვა ლტოლვილების მძიმე და აუტანელ მდგომარეობას, უარყოფითად შეაფასა აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში შექმნილი სიტუაცია და ყველაფერში ბრალი დასდო საქართველოს პრეზიდენტს. აქვე დასძინა, რომ თუ ე. შ.-ეს არ მოკლავდნენ, საქართველოში შეიქმნებოდა უფრო მძიმე ვითარება. გ. ა.-ემ დადებითად შეაფასა ჯგუფის წევრთა ვარჯიშის შედეგები, მათი განწყობა, აღნიშნა, რომ მისი ფული მართლა ტყუილად არ იყრებოდა წყალში, და ისინი მალე ჩავიდოდნენ „.....“ში, ე. შ.-ის მიმართ ტერორისტული აქტის განსახორციელებლად. თავის მხრივ, გ. ე.-ამ გ. ა.-ეს ამცნო, რომ ჯგუფმა უკვე გაიარა

სამხედრო მომზადება, მაგრამ ფინანსების უქონლობის გამო ვერ ახერხებდნენ „...“ში დაბრუნებას. გ. ა.-ე გ. ე.-ას შეჰპირდა, რომ ფულს მალე გამოუგზავნიდა.

ბანაკიდან გ. ა.-ის წასვლის შემდეგ გ. ე.-ამ ჯგუფის წევრებს, მათ შორის ბ. თ.-ას აცნობა, რომ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ე.შ.-ის მიმართ ტერაქტის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებდა „...“ეროვნების ექვსი მებრძოლი. მართლაც, ამის შემდეგ მათთან ერთად საბრძოლო მომზადებაში ვარჯიში დაიწყო იმ ექვსმა „...“მა მებრძოლმა, რომლებმაც შემდგომში მონაწილეობა მიიღეს ტერორისტულ აქტში. გ. ა.-ემ შეასრულა დანაპირები და დაახლოებით ათი დღის შემდეგ გ. ე.-ას გამოუგზავნა საჭირო თანხა.

წინასწარი გამოძიების პროცესში, გ. ა.-თან დაპირისპირებისას, ბ. თ.-ამ დაადასტურა საქართველოს პრეზიდენტზე ტერორისტული აქტის განსახორციელებლად სოფელ „...“ში საბრძოლო მომზადების გავლის, იქ გ.ა.-ის ჩასვლის და თანამზრახველებთან საუბრის ფაქტი. ბ. თ.-ას თქმით, მათთან შეხვედრისას გ.ა.-ემ აღნიშნა, რომ სანამ საქართველოს პრეზიდენტს არ მოაშორებდნენ, ვერ გადაწყდებოდა საქართველოში არსებული პრობლემები. გ.ა.-ის წასვლის შემდეგ ექვსმა „...“მა დაიწყო მათთან ერთად ვარჯიში, შემდეგ მათ მონაწილეობა მიიღეს პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტში.

ზ. ე.-მ და ბ. თ.-ამ დამატებითი დაკითხვების დროსაც დაადასტურეს, რომ გ.ა.-ძე იყო ამ დანაშაულის ორგანიზატორი და დამფინანსებელი.

ზ. მ.-ლმა სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებებში აღიარა პრეზიდენტ ე. შ.-ზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტში მონაწილეობა, ხოლო წინასწარი გამოძიების პროცესში ადვოკატის თანდასწრებით აჩვენა, რომ როგორც გ. ე.-გან გადმოცემით იცოდა, ამ უკანასკნელმა ქ. „...“ში გ.ა.-ეს შესთავაზა ე.წ. „კანონიერი ხელისუფლების“ აღდგენა საქართველოს პრეზიდენტზე ტერორისტული აქტის განხორციელების გზით. გ.ა.-ემ მოიწონა გ.ე.-ას წინადადება, შეჰპირდა ტერორისტული აქტის მომზადებისა და განხორციელებისათვის საჭირო თანხებს და შემდგომში აფინანსებდა კიდევ. პრეზიდენტის მოკვლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების სათავეში უნდა მოსულიყო გ.ა.-ძე. გ. ე.-ამ ვიდეოფირზე გადაიღო საქართველოს პრეზიდენტის მარშრუტი, რომელიც აჩვენა გ.ა.-ეს და „...“ში არსებული საწვრთნელი ბანაკის ხელმძღვანელს.

გ.ა.-ძე რამდენჯერმე ჩავიდა „...“ის საწვრთნელ ბანაკში და ინახულა ტერორისტულ აქტში მონაწილე პირები. ტერორისტული აქტი უნდა გადაეღოთ ვიდეოფირზე, რომელსაც შემდგომში აჩვენებდნენ გ.ა.-ეს.

ზ. ე.-ამ, ბ. თ.-ამ და ზ. მ.-ლმა სასამართლოში გადათქვეს გ.ა.-ის მამხილებელი ჩვენებები, უარყვეს მისი მონაწილეობა ამ დანაშაულში და განმარტეს, რომ წინასწარ გამოძიებაში მათ მიმართ განხორციელებული აუტანელი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, იძულებულნი გახდნენ შეთქმულებისა და ტერორისტული აქტის ორგანიზატორად დაესახელებინათ გ. ა.-ძე.

გამოკვლეული მტკიცებულებების ყოველმხრივი და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ განსასჯელები წინასწარი გამოძიების დროს ჩვენებებს იძლეოდნენ გულწრფელად, ყოველგვარი ზეწოლისა და გ. ა.-ის მიმართ რაიმე მიკერძოების გარეშე.



დიდი პალატა აღნიშნავს, რომ განაჩენში ზემოაღნიშნული მტკიცებულებები არ არის საკმარისი ტერორისტული აქტის ეპიზოდში მსჯავრდებულ გ. -ის ბრალის დასადასტურებლად. ამასთან, განაჩენში ზოგიერთი მტკიცებულების შესახებ მითითებულია არა იმდაგვარად, როგორც ეს ფაქტობრივად საქმის მასალებშია აღნიშნული. კერძოდ: ამავე საქმეზე მსჯავრდებული ზ. ე.-ია დაკავებულ იქნა 1998 წლის 10 თებერვალს, ხოლო ტერორისტული აქტის მცდელობის თაობაზე ეჭვიმტანილის სახით დაკითხვა იმავე წლის 14-15 თებერვალს, სადაც მან დეტალურად აღწერა ტერორისტული აქტის დეტალები და დაასახელა მონაწილეთა ვინაობა, მაგრამ გ. ა.-ძე საერთოდ არ უხსენებია. იმავე წლის 4-11 მარტს ბრალდებულის სახით დაკითხულმა ზ. ე.-ამ უჩვენა „ერთხელ გ. ე.-ამ მობილურით დარეკა ქ. „.....“ში. დარეკვის შემდეგ, გ. ე.-ამ გვითხრა ორ-სამ დღეში ჩვენთან ჩამოვა გ. ა.-ძეო, რა საკითხთან დაკავშირებით უნდა ჩამოსულიყო იგი, გ. ე.-ას ჩვენთვის არ უთქვია“. (იხ. ტ. 9 ს.ფ. 204).

მან იქვე განმარტა, რომ ორი სამი დღის შემდეგ ბანაკში მართლაც ნახა, რომ ჩამოსული იყო გ. ა.-ძე „მან მოგვაკითხა ჩვენ, მოკითხა ვ. დ.-ლის ჯანმრთელობა, გვითხრა, რომ იგი მოელაპარაკა ბანაკების ხელმძღვანელს, მათსა და ჩვენს- ქრისტიანებს შორის განსხვავება არის, მათთან გადაწყდა, რომ თქვენთან ერთად ქ. „.....“ში 6 „.....“ჩამოვაო და მალე წახვალთ ქ. „.....“შიო, სადაც მოახდენთ საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმასო. აქვე განმარტავ, რომ გ. ე.-ას ბანაკში ვარჯიშის დროს ჩემთან არაერთხელ ნათქვამი ჰქონდა, თუ ჩვენ წარმატებით განვახორციელებდით საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმას, მოვახდენდით მის ლიკვიდაციას და განადგურებას, მაშინ ორმოცი დღის შემდეგ დაინიშნებოდა საქართველოში პრეზიდენტის არჩევნები, დასავლეთ საქართველოს 70 პროცენტამდე მხარს დაგვიჭერს და საქართველოს პრეზიდენტი გახდება გ. ა.-ძეო... როდესაც გ. ა.-ძე წავიდა ჩვენი ბანაკიდან, მეორე დღეს ქ. „.....“ში, რუსეთის ფეხბურთის ნაკრები ხვდებოდა იტალიის ნაკრებს და თუ არ ვცდები ეს იყო 1997 წლის 15 ნოემბერს.“ (ტ. 9 სფ 203).

მანვე ასევე განმარტა „მინდა განმარტო, რომ გ. ა.-ძის ჩვენს ბანაკში ჩამოსვლის მიზანი, როგორც ჩემი, ასევე ჩვენი ჯგუფის ყველა წევრის აზრით იყო შემდეგი: „როგორც ზემოთ ავღნიშნე, გ. ე.-ას გადმოცემით, ჩვენს მომზადებას „...“ში აფინანსებდა გ. ა.-ძე“. (ტ. 9 სფ 208).

მსჯავრდებულ გ. ა.-სთან დაპირისპირებისას ზ. ე.-ამ ფაქტობრივად გადათქვა მის მიერ მიცემული ჩვენება. კერძოდ, დაპირისპირებისას ე.-ამ განმარტა „მართალია გ. ა.-ეს არ უთქვამს, რომ შ.-ძე მოკალითო, მაგრამ ჩვენი „.....“ში ყოფნა ფაქტიურად გულისხმობდა“. აქვე დაპირისპირებისას უჩვენა „პრეზიდენტზე თავდასხმის მომზადების პერიოდში ბანაკში ბლომად იყვნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, მაგრამ ბატონი გ.-ის ჩამოსვლის შესახებ, მხოლოდ ექვსი კაცი ჩამოგვყვა საქართველოში. ჩემი აზრით, ამაში გ. ა.-ის დამსახურება უდავოდ დიდია. ჩემთვის უცნობია, თუ ვისგან მოდიოდა ის თანხები, რომლის მეშვეობითაც ჩვენ თვეების განმავლობაში გავდიოდით მზადებას, შევიძინეთ იარაღი, დავიქირავეთ ბინები“. (ტ. 9 სფ 246).

ამდენად, მსჯავრდებულ ზ. ე.-ას ჩვენება არის წინააღმდეგობრივი, მიუთმეტეს საქმის სასამართლოში განხილვისას მან კატეგორიულად უარყო გ. ა.-ის ტერორისტულ აქტში მონაწილეობა და ახსნა ჩვენების შეცვლის მოტივი და მიზეზი, მიუთითა, რომ მის მიმართ წინასწარი გამოძიების დროს გამოყენებული იყო როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური

ზემოქმედება, რათა გ. ა.-ის მიმართ მიეცა მამხილებელი ჩვენება. მისი ასეთი განმარტება საქმის მასალებით არაა უარყოფილი.

ასევე წინააღმდეგობრივია მსჯავრდებულ ბ. თ.-ას მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები. კერძოდ, ბ. თ.-უა ეჭვმიტანილის სახით დაკითხულ იქნა 1998 წლის 14 თებერვალს, სადაც მან ფაქტობრივად აღიარა ჩადენილი დანაშაული, მაგრამ გ. ა.-ის შესახებ საერთოდ არაფერი არ უთქვია. იმავე წლის 15 თებერვალს მას წარედგინა ტერორისტულ აქტში მონაწილეობის ბრალდება და დაკითხულ იქნა ბრალდებულის სახით. მან თავი მთლიანად იცნო დამნაშავედ, აღიარა ჩადენილი დანაშაული, მიუთითა ტერაქტის მონაწილეთა შესახებ და აღწერა მისი ჩადენის დეტალები. იქვე მიუთითა „მე ამ ოპერაციაში ჩამართო გ. ე.-ამ და მან თქვა, რომ ხელისუფლებაში მოვიდოდა მათი ხალხი. კონკრეტულად, თუ ვინ იქნებოდა ან რა ძალები - არ უთქვამს. ასევე არ ვიცი, თუ ვინ აფინანსებდა ოპერაციას“.

(ტ. 8 სფ 61-62).

1998 წლის 11 მარტს დამატებით დაკითხვისას ბ. თ.-ამ ტერორისტული აქტის ორგანიზებასა და დაფინანსებაში გარკვეულწილად ამხილა გ. ა.-ძე, რაც ასევე გაიმეორა იმავე წლის 30-31 მარტს ბრალდებულის სახით დაკითხვის დროსაც. იმავე წლის 9 აპრილს გ. ა.-თან დაპირისპირებისას ბ. თ.-ამ ფაქტობრივად უარყო ა.-ის მიმართ მიცემული ჩვენება, განმარტა, რომ გ. ა.-ეს მათთვის არ უთქვია პრეზიდენტი მოკალითო, პრეზიდენტის ლიკვიდაციის ინიციატორი იყო გ. ე.-უა.

მანვე განმარტა, რომ ფინანსების საკითხებსაც აგვარებდა გ. ე.-უა.

(იხ. ტ. 8 სფ 120-132).

საქმის სასამართლოში განხილვისას მსჯავრდებულმა ბ. თ.-ამ ასევე უარყო გ. ა.-ის მონაწილეობა ტერორისტული აქტის ორგანიზებისა და დაფინანსების ნაწილში, ასევე ახსნა ჩვენების შეცვლის მოტივი და მიზეზები.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ ამავე საქმეზე მსჯავრდებული ზ. მ.-ლი არ ყოფილა „...“ში სამხედრო წვრთნის გასასვლელად და იგი მოგვიანებით ჩაერთო ტერორისტული აქტის განმახორციელებელ ჯგუფში. მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები გ. ა.-ის მიმართებაში არის ზოგადი და ემყარებოდა მხოლოდ გ. ე.-გან მოსმენილ გამონათქვამებს.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, იგი გ. ა.-ეს ზ. მ.-ლი არ შეხვედრია და მასთან ტერორისტული აქტის მომზადების ან დაფინანსების შესახებ საუბარი არ ჰქონია. უფრო მეტიც, წინასწარი გამოძიების დროს, ზ. მ.-ლი გ. ა.-თან არ ყოფილა დაპირისპირებული. საქმის სასამართლოში განხილვისას, მანაც კატეგორიულად უარყო გ. ა.-ის მიმართებაში წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება, მიუთითა, რომ მის მიმართ გამოყენებული იყო ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედება, რის გამოც იძულებული იყო მიეცა გ. ა.-ის საწინააღმდეგო ჩვენება. მისი ასეთი განმარტება საქმის მასალებით არაა უარყოფილი.

მართალია, როგორც ზემოთ აღინიშნა, წინასწარი გამოძიების საწყის ეტაპზე მოპოვებულ იქნა გარკვეული მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებდნენ გ. ა.-ის ტერორისტული აქტის დაფინანსებას, თუმცა შემდგომ გამოძიების და საქმის სასამართლოში განხილვისას ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდნენ ამ ფაქტს.

ამასან დიდი პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულების ზ. ე.-ას, ბ. თ.-ას და ზ. მ.-ლის წინასწარ გამოძიებისას მიცემული ჩვენებები (რომელთაც დაეყრდნო განაჩენი) არის ურთიერთსაწინააღმდეგო და ზოგ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავიც. მათ ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრა შესაძლებელი იქნებოდა საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების გზით. მაგრამ პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ხანგრძლივი დროის თითქოს 3 წლისა და 6 თვის განმავლობაში ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ ამ ეპიზოდში გ. ა.-ის ბრალეულობას. ხოლო საქმის დამატებით გამოძიებაში ან ხელახალ სასამართლო განხილვაში დაბრუნება კი გამოიწვევს სისხლის სამართლებრივი დევნის გაჭიანურებას. მითუმეტეს ზ. ე.-ას, ბ. თ.-ას და ზ. მ.-ლის წინასწარ გამოძიების დროს მიცემული ჩვენებებიდან ირკვევა, რომ მათ აწ გარდაცვლილ გ. ე.-გან გაგონილი ჰქონდათ, რომ ფინანსურად მათ ეხმარებოდა გ. ა.-ძე, თუმცა კონკრეტულად, თუ როდის ან რა რაოდენობის თანხით დაეხმარა გ. ა.-ძე მათ არ იციან. მსჯავრდებული გ. ა.-ძე წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას კატეგორიულად უარყოფდა ტერაქტის ორგანიზებას და დაფინანსებას. თუმცა „...“ში ჩასვლას და ჯგუფის წევრებთან შეხვედრას გ. ა.-ძე არ უარყოფდა და ხსნიდა კიდევ მისი ჩასვლის მიზანს. რაც შეეხება აწგარდაცვლილ გ. ე.-ას იგი ამ ფაქტის გარშემო არ დაკითხულა. თვით მსჯავრდებულებმა ზ. ე.-ამ, ბ. თ.-ამ და ზ. მ.-ლმა სასამართლო განხილვისას კატეგორიულად უარყვეს გ. ა.-ის მიერ ტერაქტის ორგანიზებისა და დაფინანსების ფაქტი. ამასთან, ახსენეს, თუ რამ აიძულა ისინი მიეცათ გ. ა.-ის საწინააღმდეგო ჩვენებები. მათ მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებების გასაბათილებლად ბრალდების მხარეს რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია. ამდენად, ამ ეტაპზე ფაქტობრივად აღარ არსებობს დამატებით მტკიცებულებათა შეკრების შესაძლებლობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეჭვი დამნაშავედ პირის ცნობისათვის მტკიცებულების უტყუარობისა და მისი საკმარისობის თაობაზე უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, თუ ეჭვი არ შეიძლება გაბათილდეს დამატებით მტკიცებულებათა შეკრებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 503-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძველად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე.

საპროცესო კანონის აღნიშნულ მოთხოვნიდან გამომდინარე, დიდი პალატა თვლის, რომ განაჩენი გ. ა.-ის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 17, 67-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, 17, 104-ე მუხლის მესამე, მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე პუნქტებით, 307-ე მუხლითა და 315-ე მუხლის პირველი ნაწილით და 187-ე მუხლის მესამე ნაწილით უნდა გაუქმდეს და საქმე წარმოებით შეწყდეს თანახმად საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ გ. ა.-ის მიერ 127 830 აშშ დოლარის აშკარად (ძარცვით) გატაცების ეპიზოდი, სასამართლო კოლეგიის მიერ არასწორადაა დაკვალიფიცირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. კანონის თანახმად, ქმედებას აღნიშნული კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს იმ შემთხვევაში, როდესაც პირი აშკარად ეუფლება სხვის ქონებას დიდი ოდენობით. მოცემულ შემთხვევაში, გ. ა.-ის მიერ თანხის ასეთი გზით გატაცებას ადგილი არ ჰქონია.

პირიქით, საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ მსჯავრდებულმა გ. ა.-ემ ყოფილი მთავრობის სახელით „.....ის“ „.....“ის განყოფილების მმართველ მ. კ.-ას „.....“ის მერიის შენობაში მიატანინა 127 830 ამერიკული დოლარი, რომლის მიღებაზეც თვითონვე მოაწერა ხელი. აღნიშნული თანხა, რომ მიიღო გ. ა.-ემ დადგენილია როგორც თვით გ.ა.-ის მიერ მიცემული ჩვენებით, ასევე ბანკის მმართველ მ. კ.-ას ჩვენებით, გასავლის ორდერით, რომელზეც ხელი აქვს მოწერილი გ.ა.-ეს და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ გ. ა.-ის ჩვენებას იმის თაობაზე, თითქოს მიღებული თანხა მოხმარდა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობის კვებასა და მათ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას. პალატა აღნიშნავს, რომ ყოფილი მთავრობის სახელით შედგენილ იქნა ყველა დოკუმენტაცია თანხის ბანკიდან გამოსატანად, ზოლო მისი ხარჯვის შესახებ კი არავითარი საბუთი არ შექმნილა. უფრო მეტიც, თუ კი თანხა უნდა მოხმარებოდა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, მაშინ თანხა უნდა მიეღო შესაბამის უწყებას, რომელთაც უშუალოდ ევალებოდათ ლტოლვილ მოსახლეობის კვებისა და სხვა პრობლემების მოგვარებას. ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ, ზემოთ მითითებული თანხა მოითხოვა და მიიღო ყოფილი მთავრობის ფინანსთა მინისტრმა გ. ა.-ემ, რომელსაც არ ევალებოდა ბანკიდან თანხის მიღება და განკარგვა.

პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. ა.-ის მიერ 127 830 ამერიკული დოლარის მითვისება დადგენილია საქმის ერთობლივი მასალებით, მაგრამ მის ქმედებას მიცემული აქვს არასწორი სამართლებრივი შეფასება. გ. ა.-ის ქმედება მოცემულ შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მაგრამ დანაშაულის აღნიშნული შემადგენლობა უფრო მძიმეა, ვიდრე სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილი, რითაც მას სასჯელი დაენიშნა.

საკასაციო ინსტანციას არა აქვს უფლება გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, ამიტომ გ. ა.-ის ქმედება ამ ნაწილში უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და ამის მიხედვით უნდა განესაზღვროს სასჯელი.

სხვა ნაწილში, გ. ა.-ის მიმართ დადგენილი განაჩენი არის კანონიერი, რაც კასატორებსაც არ გაუხდიათ სადავოდ.

დიდი პალატა ვერ დაეთანხმება საკასაციო საჩივრის მითითებას იმის შესახებ, თითქოს სასამართლო კოლეგიამ დაცვის მხარეს აუკრძალა მტკიცებულებების წარმოდგენის უფლება და დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი. სასამართლო კოლეგიამ თავისი 2001 წლის 30 მაისის განჩინებით დაცვის მხარეს კი არ აუკრძალა მტკიცებულებათა წარმოდგენის შესაძლებლობა, არამედ დამთავრებულად გამოაცხადა დაცვის მტკიცებულებათა გამოკვლევა და გადავიდა იმ მტკიცებულებათა განხილვაზე, რომლებიც ახასიათებს განსასჯელთა პიროვნებას და შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.

სასამართლო კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ მოსმენილია და გამოკვლეულია, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები იმ ზომით,

რაც აუცილებელია მტკიცების საგნის გარემოებათა გასარკვევად და საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

ამის შემდეგ სასამართლო კოლეგიამ 2001 წლის 1 ივნისის მინც დააკმაყოფილა განსასჯელ გ. ა.-ის შუამდგომლობა და განააზღვა დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა წარმოდგენა. დაკითხულ იქნა მოწმე ნ.ბ.-ძე, რის შემდეგ იმავე წლის 5 ივნისის სასამართლო კოლეგიის განჩინებით ისევ დამთავრებულად გამოაცხადა დაცვის მტკიცებულებათა გამოკვლევა.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ არ დარღვეულა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ მართალია განსასჯელ გ. ა.-ეს არ მისცემია საბოლოო სიტყვა, მაგრამ ამით არ შეზღუდულა მისი უფლებები, რადგან იგი წესრიგის დარღვევისათვის გაძევებულ იქნა სასამართლო სხდომიდან და ამდენად, შემდგომ სასამართლო განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია და არც საბოლოო სიტყვა წარმოუთქვამს.

დიდი პალატა ვერ დაეთანხმება საკასაციო საჩივრის მითითებას იმის შესახებ, თითქოს განაჩენი გამოიტანა არაკანონიერმა შემადგენლობამ. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საქმე განხილულ იქნა ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით. ამასთან, რადგან საქმის განხილვა ითხოვდა დიდ დროს, საქმის განხილვის დაწყებიდან სასამართლო სხდომის დარბაზში იმყოფებოდა სათადარიგო მსაჯული, რომელმაც ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე რამოდენიმეჯერ შეცვალა საქმის განხილვაში მონაწილე მსაჯული. აღნიშნულით არ დარღვეულა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 436-ე მუხლის მოთხოვნა და განაჩენი დადგენილ იქნა კანონიერი შემადგენლობის მიერ.

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მითითებას იმის შესახებ, თითქოს გ. ა.-ძე იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში და ამ გარემოებას სასამართლო კოლეგიამ არ მისცა სათანადო შეფასება.

აღნიშნული საკითხი არაერთხელ დაისვა, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე საქმის სასამართლოში განხილვისას და გახდა მსჯელობის საგანი.

მიჩნეულ იქნა, რომ მსჯავრდებულ გ. ა.-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენებისას არ დარღვეულა იმუამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნები. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 1993 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ სანქციით გ. ა.-ეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

ასევე 1998 წლის 19 მარტს ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მოსამართლის ბრძანებით, გამოძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე, გ. ა.-ეს აღკვეთის ღონისძიების სახით აერჩია პატიმრობა. რაც მეორე დღეს ე.ი. 20 მარტს მოსამართლის მიერ თვით გ. ა.-ისა და მისი ადვოკატის მონაწილეობით იქნა დადასტურებული. ამის შემდეგ გ. ა.-ის მიმართ წინასწარი გამოძიებისას ორჯერ იქნა საპატიმრო ვადა გაგრძელებული, ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ, შემდეგ კი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამართლის მიერ. საქმის სასამართლოში განხილვისას კი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ასევე ორჯერ იქნა გ. ა.-სა და სხვათა მიმართ საპატიმრო ვადა გაგრძელებული.

დიდი პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. ა.-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის შეფარდებისას და შემდგომ ამ ვადის გაგრძელებისას, არ ყოფილა დარღვეული

საპროცესო კანონის მოთხოვნები და ამდენად, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, თითქოს გ. ა.-მ იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში.

საჩივრის მითითება იმის შესახებ, თითქოს სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მიერ არასწორად იქნა განმარტებული საპროცესო კანონის მოთხოვნები და დარღვეულ იქნა გ. ა.-ის დაცვის უფლება – დიდი პალატა ვერ დაეთანხმება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს სასამართლო კოლეგია განიხილავდა მოქმედი საპროცესო კანონის მოთხოვნათა საფუძველზე და კოლეგიალურად იღებდა გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. რაც შეეხება საკითხს, თითქოს დარღვეულ იქნა გ. ა.-ის დაცვის უფლება, პალატა ვერ გაიზიარებს. კერძოდ, გ. ა.-ეს საქმის სასამართლო განხილვისას იცავდა მის მიერ მოწვეული ორი ადვოკატი, შემდეგ მათ მიატოვეს სასამართლო სხდომის დარბაზი, თუმცა სასამართლო კოლეგიამ ისინი არ გაათავისუფლა დაცვის მოვალეობისაგან და დამატებით, სახაზინო წესით დაუნიშნა კიდევ ერთი ადვოკატი, რომელსაც მიეცა დრო საქმის მასალების გასაცნობად. შემდგომ განსასჯელ გ. ა.-სა და ადვოკატს შორის მომხდარი შეკამათების გამო, ა.-ემ აიძულა დამცველი, რომ მიეტოვებინა სხდომა. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ა.-ის ქმედება მიმართული იყო სხდომის ჩაშლისაკენ და რომ მას საერთოდ არ სურდა ჰყოლოდა დამცველი.

სასამართლო კოლეგიის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, ადვოკატები არ დაბრუნდნენ სასამართლო სხდომაზე, რითაც შეეცადნენ ხელოვნურად გაეჭიანურებინათ საქმის განხილვა. ამის შემდეგ სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ გ. ა.-ეს სავალდებულო არ იყო ჰყოლოდა დამცველი, რადგან ბრალი ედებოდა ტერაქტის მცდელობისათვის. ასევე დაუდგენელი იყო, თუ ვისი ნასროლი ტყვიით გარდაიცვალნენ კ.-რი და შ.-იძე, ამიტომ ამ ნაწილშიც პროკურორმა ითხოვა ქმედების მცდელობით დაკვალიფიცირება. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება დაინიშნოს დანაშაულის მცდელობისათვის და ამდენად, არ არსებობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, იძულებით დაცვის თაობაზე.

საქმის განხილვის შემდგომი გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, სასამართლო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატების მონაწილეობის გარეშე გაეგრძელებინა საქმის განხილვა. ასეთი გარემოებების არსებობისას არ შეიძლება მიჩნეული იქნეს, თითქოს დაირღვა მსჯავრდებულ გ. ა.-ის დაცვის უფლება, მითუმეტეს ტერაქტის ეპიზოდში გ. ა.-ის მიმართ განაჩენი გაუქმდა და საქმე ამ ნაწილში წარმოებით შეწყდა.

დიდი პალატა ვერ დაეთანხმება საკასაციო საჩივრის მითითებას იმის შესახებ, თითქოს სასამართლო კოლეგიის მიერ იქნა გაყალბებული საქმის სასამართლოში შესვლის თარიღი. ეს საკითხი საქმის სასამართლოში განხილვისას დეტალურად იქნა შემოწმებული და დადგინდა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურიდან საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამოგზავნილ იქნა 1999 წლის 14 ივლისს, ხოლო უზენაეს სასამართლოში შემოვიდა იმავე წლის 17 ივნისს. საქმის სასამართლოში შემოსვლის თარიღი არ ყოფილა გაყალბებული, ამიტომ ეს გარემოება განაჩენის გაუქმების საფუძველი ვერ გახდება.

საკასაციო საჩივრის მითითება იმის შესახებ, თითქოს სასამართლო კოლეგიამ გამოტოვა სასამართლო პროცესის ეტაპები, არ განიხილა გ. ა.-ის მიმართ გამამართლებელი

განაჩენის გამოტანის შესახებ შუამდგომლობა, არ გამოიძახა დაზარალებული და ექსპერტები, საქმეში განხილვაში მონაწილეობა მიაღებინა არაპროცესუალურ პირს „კონტაქტის დამამყარებელს“, პროცესი ჩატარებული იქნა განსასჯელების და მათი ადვოკატების დასწრების გარეშე, ასევე რიგ ეპიზოდებში დაუსაბუთებლად შეწყვიტა საქმე – ვერ გახდება განაჩენის გაუქმების საფუძველი.

საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ სასამართლო კოლეგიას არ გამოუტოვებია სასამართლო განხილვის არცერთი სტადია. საჩივარში მითითებულ ზემოაღნიშნულ საკითხებზე სასამართლო კოლეგიას მიღებული აქვს სათანადო გადაწყვეტილება (განჩინება). უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქმის განხილვა ადვოკატების დასწრების გარეშე გამოწვეული იყო იმით, რომ თვით ადვოკატებმა თავიანთი ინიციატივით მიატოვეს სასამართლო სხდომა, ხოლო განსასჯელთა გარეშე საქმის განხილვა გამოიწვია იმან, რომ მათ მიერ დარღვეულ იქნა წესრიგი, რის გამოც ისინი გაძევებულ იქნენ სხდომის დარბაზიდან. ასეთ ვითარებაში დიდი პალატა თვლის, რომ განსასჯელთა დაცვის უფლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია და საჩივარში მითითებული გარემოებები განაჩენის გაუქმების საფუძველი ვერ გახდება.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარემ (პროკურორმა) 34 ეპიზოდში უარი თქვა გ. ა.-ის მიმართ წარდგენილ ბრალდებაზე და ითხოვა საქმის წარმოებით შეწყვეტა. სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და თავისი განჩინებით გ. ა.-ის მიმართ წარდგენილი ბრალდების 34 ეპიზოდში საქმე წარმოებით შეწყვიტა, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მე-8 ნაწილისა, სადაც მითითებულია, რომ თუ პროკურორი სასამართლოში უარს იტყვის ბრალდებაზე, სასამართლო ვალდებულია შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე ან გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი. ასეთ ვითარებაში, როდესაც კანონი იმპერატიულად მოითხოვს პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს მიერ საქმის წარმოებით შეწყვეტას, სასამართლო კოლეგიის მიერ რაიმე კანონის დარღვევაზე მსჯელობის საფუძველიც კი არ არსებობს.

დიდი პალატა ვერ დაეთანხმება საჩივრის მითითებას იმის შესახებ, თითქოს სასამართლო კოლეგიამ არ განიხილა დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა გ. ა.-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე. სასამართლო კოლეგიას განხილული აქვს დაცვის მხარის მიერ დაყენებული ასეთი შუამდგომლობა და განჩინებით უარი უთხრა მის დაკმაყოფილებაზე. (იხ. ტ. 78 სფ 243). რაც შეეხება დაზარალებულების და ექსპერტების მოწვევისა და დაკითხვის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობებს ისინი სასამართლო კოლეგიის მიერ განხილულია და მიღებული აქვს შესაბამისი გადაწყვეტილება.

დიდი პალატა თვლის, რომ საქმის განმხილველ სასამართლო კოლეგიას არ დაუშვია ისეთი არსებითი ხასიათის საპროცესო კანონის დარღვევა, რაც განაჩენის გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

დიდი პალატა ასევე ვერ დააკმაყოფილებს მსჯავრდებულ გ. ა.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, სასამართლო კოლეგიის მიერ საქმის განხილვისას მიღებული იმ 20 განჩინების გაუქმების თაობაზე, რომლებიც ჩამოთვლილია ამ განჩინების აღწერილობით ნაწილში. დიდი პალატა აღნიშნავს, რომ კერძო საკასაციო საჩივარი არის ზოგადი ხასიათის, მითითებულია მხოლოდ იმის თაობაზე, რომ რომ სასამართლო კოლეგიის მიერ მიღებული განჩინებები არის უკანონო, მაშინ, როდესაც

ყველა ზემოაღნიშნული განჩინება გამოტანილია სათანადო საპროცესო კანონზე მითითებით და არ მოიპოვება არავითარი საფუძველი მათი გაუქმებისა და უკანონო აქტად ცნობისათვის.

კერძოდ, გ. ა.-ძე და სხვები, 1999 წლის 15 ნოემბრის განმწესრიგებელი სხდომის განჩინებით იქნენ მიცემული სამართალში. სასამართლო კოლეგიის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის შესაბამისად, განხილულ იქნა დაცვის მხარის შუამდგომლობა იმ ფარგლებში, რაც ამ მუხლითაა დაგეგმილი, სადაც მითითებულია, რომ სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ვალდებულია განიხილოს მხარეებისაგან შემოსული შუამდგომლობები დამატებით მტკიცებულებათა გამოთხოვის, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, სამოქალაქო სარჩელისა და მისი უზრუნველყოფის შესახებ. ამდენად, კანონმა ზუსტად განსაზღვრა ის საკითხი, რომლებიც უნდა იქნეს განხილული მხარეებისაგან შემოსული შუამდგომლობების საფუძველზე. კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ ბრალდებულების სამართალში მიცემისას გამწესრიგებელ სხდომაზე, მხარეთა მიერ დაყენებული შუამდგომლობები განიხილა იმ ფარგლებში, რაც კანონით იყო რეგლამენტირებული და მიიღო შესაბამისი განჩინება.

დიდი პალატა თვლის, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი სასამართლო კოლეგიის 1999 წლის 15 ნოემბრის განმწესრიგებელი სხდომის განჩინების გაუქმებისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო კოლეგიის წინაშე დაცვის მხარის მიერ არაერთხელ დაისვა საკითხი, რომ გ. ა.-ძე იყო უკანონო პატიმრობაში და ითხოვდნენ მის გათავისუფლებას. სასამართლო კოლეგიამ ამ საკითხზე 2000 წლის 14 მარტის განჩინებით იმსჯელა, ჩათვალა, რომ გ. ა.-ის მიმართ დაპატიმრებისა და საპატიმრო ვადების გაგრძელებისას არ ყოფილა საპროცესო კანონი დარღვეული და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

დიდი პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგიის მიერ ზემოთ მითითებული განჩინება გამოტანილია საპროცესო ნორმების დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო კოლეგიამ საჭიროდ არ ჩათვალა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების გამოძახება და დაკითხვა, ამის თაობაზე მან 2000 წლის 10 ივლისის შესაბამისი განჩინება. აღნიშნულ განჩინებაში მითითებულია, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა არის გასაგები და დასმულ საკითხებზე პასუხი გაცემულია სრულყოფილად, რის გამოც არ არსებობდა ექსპერტიზის დაკითხვის აუცილებლობა. ამდენად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების საფუძველი.

გ. ა.-ძე 2000 წლის 11 ივლისის განჩინებით, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის გამო, გაძევებულ იქნა სასამართლო დარბაზიდან, რის შესახებ სასამართლო კოლეგიამ მიიღო შესაბამისი განჩინება.

დიდი პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგიას აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას არ დაურღვევია კანონის მოთხოვნა, მითუმეტეს, შემდგომ მხარეთა შუამდგომლობის გამო გ. ა.-ძე ისევ დაბრუნებულ იქნა სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

სასამართლო კოლეგიამ 18 სექტემბრის განჩინებით არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა სათადარიგო მსაჯულის სააკიანის აცილების თაობაზე.

დიდი პალატა თვლის, რომ სათადარიგო მსაჯულის აცილების საკითხის გადაწყვეტისათვის მოქმედი კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, მითუმეტეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას სათადარიგო მსაჯულს მონაწილეობა არ მიუღია.



სასამართლო კოლეგიამ დაცვის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიკვლია „...“ის ოლქის ქ. „...“ში გ. ა.-ის ბინაში ჩატარებული ჩხრეკის ოქმის კანონიერების საკითხი. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ჩატარებულ იქნა რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მათივე კანონმდებლობის საფუძველზე. ჩხრეკის წარმოებისას არ დარღვეულა საპროცესო კანონის მოთხოვნები, ამიტომ თავისი 2000 წლის 22 ნოემბრის განჩინებით, უარი უთხრა დაცვის მხარეს ზემოაღნიშნული ჩხრეკის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.

სასამართლო კოლეგიის მიერ მიღებული აღნიშნული განჩინების გაუქმების კანონიერი საფუძველი არ მოიპოვება.

ბრალდების 34 ეპიზოდში საქმის წარმოების შეწყვეტის კანონიერების თაობაზე უკვე იყო მსჯელობა.

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას „ბრალდებულ გ. ა.-სა და მისი დამცველებისათვის საქმის მასალების წარდგენის შესახებ“ ოქმის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე სასამართლო კოლეგიამ განიხილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და თავისი 2001 წლის 10 აპრილის განჩინებით უარი უთხრა მის დაკმაყოფილებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული ოქმი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მტკიცებულება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად, მტკიცებულებებია კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან და წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზედაც მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო მომკვლევნი, გამოძიებელი, პროკურორი და სასამართლო ადვოკატი, არსებობს თუ არა მოვლენა ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართალწარმოება, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს.

ამავე მუხლში მითითებულია, თუ სისხლის სამართლის პროცესში რა ცნობები შეიძლება მიჩნეულ იქნეს მტკიცებულებად.

აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, ოქმი ბრალდებულისათვის საქმის მასალების გასაცნობად წარდგენის შესახებ არ წარმოადგენს მტკიცებულებას და ამდენად, არ შეიძლება მსჯელობა მისი დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობისათვის.

საქმის სასამართლო განხილვისას არაერთხელ დაისვა საკითხი სხდომის თავმჯდომარის, მსაჯულის, მთლიანად სასამართლო კოლეგიის აცილების შესახებ. ამ საკითხზე გამოტანილია სხვადასხვა განჩინება, მათ შორის სასამართლო კოლეგიამ თავისი 2001 წლის 8 მაისის განჩინებით არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა სასამართლო კოლეგიის აცილების შესახებ.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ არ არსებობდა კანონიერი საფუძველი სასამართლო კოლეგიის აცილებისათვის, ამიტომ შუამდგომლობა არ იქნა დაკმაყოფილებული.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო კოლეგიის მიერ 2001 წლის 15 მაისს მიღებული განჩინებები, არის კანონიერი და არ არსებობს მათი გაუქმების საფუძველი, რადგან აღნიშნული დროისათვის გ. ა.-ის მიმართ სასამართლოში პატიმრობის ორწლიანი ვადა ჯერ არ იყო გასული, ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით, განსასჯელთა მიმართ საპატიმრო ვადა გაგრძელებული იყო 3 თვით.

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ 1993 წლის 25 ოქტომბრისა და 1998 წლის 19 მარტის დადგენილებები გ. ა.-ის

ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ ცნობილ იქნეს უკანონო საპროცესო აქტებად. ამ საკითხზე სასამართლო კოლეგიამ იმსჯელა 2001 წლის 21 მაისს და თავისი განჩინებით უარი უთხრა დაცვის მხარეს დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ზემოთაღნიშნული დადგენილებები მიღებულია იმუჟამდ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონის საფუძველზე და არ არსებობს მათი გაუქმების კანონიერი საფუძველი.

კერძო საკასაციო საჩივრის მითითება იმის შესახებ, რომ უკანონო საპროცესო აქტებად იქნეს ცნობილი კრწანისის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 19 და 20 მარტის ბრძანებები გ.ა.-ის დაპატიმრების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 17 ივნისის ბრძანება გ.ა.-ის მიმართ საპატიმრო ვადის გაგრძელების შესახებ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1998 წლის 10 აგვისტოს ბრძანება ბრალდებულების მიმართ საპატიმრო ვადის გაგრძელების შესახებ – დიდი პალატის მიერ ვერ იქნება დაკმაყოფილებული. სასამართლო კოლეგიამ საქმის განხილვისას იმსჯელა აღნიშნულ საკითხებზე გამოიკვლია მათი კანონიერება და დასაბუთებულობა, მიიჩნია, რომ არ ყოფილა დარღვეული იმუჟამდ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნები, რის შესახებ მიიღო სათანადო განჩინებები.

დიდი პალატა თვლის, რომ არ არსებობს კანონიერი საფუძველი ზემოთმითითებული ბრძანებების უკანონო საპროცესო აქტებად ცნობის შესახებ.

სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 30 მაისისა და იმავე წლის 5 ივნისის განჩინებები, რომლებითაც დამთავრებულად იქნა გამოცხადებული დაცვის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უკანონოდ, რადგან დაცვის მხარეს ფაქტობრივად აღარ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება და მხოლოდ ზოგადად აღნიშნავდნენ, რომ ჰქონდათ წარსადგენი მტკიცებულებები. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მათი ასეთი განმარტება მიმართული იყო საქმის განხილვის გაჭინურებისაკენ და თავისი განჩინებებით დამთავრებულად გამოაცხადა დაცვის მხარის მტკიცებულებათა წარმოდგენა.

სასამართლო კოლეგიის მიერ 2001 წლის 26 ივლისის და იმავე წლის 1 აგვისტოს განჩინებები სასამართლო სხდომის გ. ა.-ის, ნ. ჩ.-ას, ტ. ბ.-ას, ზ. გ.-ას, ზ. მ.-ლისა და ბ. თ.-ას ადვოკატების გარეშე გაგრძელების შესახებ, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უკანონოდ, რადგან სასამართლო კოლეგიას ზემოაღნიშნული მსჯავრდებულების ადვოკატები არ გაუთავისუფლებია, მათ თვითონ მიატოვეს სასამართლო სხდომა და მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, აღარ დაბრუნდნენ სხდომაზე. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები- იძულების დაცვის შესახებ, ამიტომ ადვოკატების დასწრების გარეშე გაგრძელდა სასამართლო სხდომა.

სასამართლო კოლეგიამ 2001 წლის 26 ივლისის განჩინებით გ. ა.-მე გააძევა სხდომის დარბაზიდან, რადგან მან უხეშად დაარღვია წესრიგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს აღნიშნული განჩინების გაუქმების საფუძველი.

დიდი პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ზ. მ.-ლის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა სასჯელის შემსუბუქების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით ზ. მ.-ლის მიერ ჩადენილი დანაშაული დადგენილია, მისი ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული, ამასთან, სასამართლო კოლეგიის მიერ სათანადოდ არ იქნა

გათვალისწინებული დანაშაულში მისი მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზ. მ.-ს უშუალოდ არ მიუღია მონაწილეობა ტერორისტულ თავდასხმაში. მისი მონაწილეობა გამოიხატა მხოლოდ მასში, რომ მან ტერაქტის უშუალოდ განმახორციელებელ ჯგუფის ხელმძღვანელს გ. ე.-ას გადასცა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის ესკორტის მოძრაობის შესახებ. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ტერაქტი დამთავრდა მცდელობის სტადიაზე. მხედველობაშია მისაღები, რომ ზ. მ.-ლი პირველადაა სამართალში, მისი წარსული არაფრით არაა შებღალული, ფაქტობრივად აღიარა და მოინანია ჩანადენი, კმაყოფაზე ჰყავს ცოლ-შვილი, ხასიათდება დადებითად.

ყელა ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე, დიდი პალატა თვლის, რომ ზ. მ.-ლს სასჯელი უნდა შეუმცირდეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზომის სამი მეოთხედის ფარგლებში.

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ტ. ბ.-ას საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და საქმის წარმოებით შეწყვეტის თაობაზე. მსჯავრდებულ ტ. ბ.-ას ჩადენილი დანაშაული დადგენილია, როგორც თვით მისი წინასწარ გამოძიებაში მიცემული აღიარებითი ჩვენებებით, ასევე საქმეში არსებული ერთობლივი მამხილებელი მასალებით. პალატა ამასთან მხედველობაში იღებს ტ. ბ.-ას მის მიერ ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხს, აღნიშნავს, რომ მას ზ. გ.-თან ერთად ევალებოდა შემთხვევის ადგილიდან დროული მიმალვისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მზადყოფნა, მათვე ევალებოდათ საჭიროების შემთხვევაში დანაშაულის ადგილიდან თავდამსხმელთათვის შეირალებული დახმარების აღმოჩენა. საქმის მასალებით დადგენილია აგრეთვე, რომ ტ. ბ.-ას უშუალოდ თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღია, მისი მონაწილეობა ტერაქტში გამოიხატება მხოლოდ დახმარების აღმოჩენაში. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ტ. ბ.-ია პირველადაა სამართალში, მისი წარსული არაფრით არაა შებღალული, კმაყოფაზე ჰყავს ცოლ-შვილი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტერაქტი დამთავრდა მცდელობის სტადიაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე, დიდი პალატა თვლის, რომ ტ. ბ.-ას განაჩენით შეფარდებული სასჯელი უნდა შეუმცირდეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზომის სამი მეოთხედის ფარგლებში.

## ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 560-ე, 561-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 562-ე, 568-ე მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 17 აგვისტოს განაჩენი გ. ა.-ის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით, 17, 67-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, 187-ე მუხლის მესამე ნაწილით, 17, 104-ე მუხლის მესამე, მეოთხე, მეექვსე და

მეშვიდე პუნქტების გათვალისწინებული ბრალდების ეპიზოდში გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე წარმოებით შეწყდეს. (1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტთან დაკავშირებით).

განაჩენის აღწერილობით სამოტივაციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება გ. ა.-ის საქართველოს სსკ-ის 307-ე, 315-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით (1993 წელს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით) დამნაშავედ ცნობის თაობაზე და ამ ეპიზოდში საქმე წარმოებით შეწყდეს სსსკ-ის 24-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე.

გ. ა.-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადააკალიფიცირდეს იმავე კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 6 (ექვსი) წლის ვადით. (1993 წ. 127. 830 აშშ დოლარის დატაცებასთან დაკავშირებით).

საბოლოოდ სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით გ. ა.-ეს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 6 (ექვსი) წლის ვადით საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

იგივე განაჩენი ზ. მ.-ლის მიმართ შეიცვალოს იმ მიმართებით, რომ მას მისთვის შეფარდებული სასჯელი - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა 4 წლით შეუმცირდეს და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს - 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგივე განაჩენი ტ. ბ.-ას მიმართ შეიცვალოს იმ მიმართებით, რომ მას განაჩენით შეფარდებული სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 7 (შვიდი) წლის ვადით.

მსჯავრდებულ გ. ა.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს ცვლილებით, კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ზ. მ.-ლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ტ. ბ.-ას საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.